

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ქონების მართვის, აგრარულ და ბუნებრივი რესურსების  
საკითხების კომისიის 2016 წლის 21 ივნისის სხდომის  
ოქმი №10

ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7

12.00 სთ.

სხდომის თავმჯდომარე – თამაზ მოძღვრიშვილი - კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ წევრები - დავით ვალიშვილი, თემირ ლელუაშვილი,  
დავით პაპიაშვილი, გოჩა ლაბაური, დავით ჯალაბაძე.

დღის წესრიგი:

საკითხი - 1. „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის  
საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების  
შეტანის თაობაზე.”

მოისმინეს საკითხი: I. „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების  
2015 წლის საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების  
შეტანის თაობაზე.”

მომხსენებელი თ. მოძღვრიშვილი.

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსულია №5116 20.06.2016წ. მომართვა,  
რომლითაც ითხოვენ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების  
2015 წლის საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების  
შეტანას, კერძოდ საპრივატიზაციო ნუსხაში შემდეგი ქონების დამატებას:

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წეროვანში მდებარე 265 კვ.მ არასასოფლო-  
სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ. 72.08.28.580;

ა/ლ  
21.06 25/16

კომისიამ გადაწყვიტა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის I ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების საფუძველზე, „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანასთან დაკავშირებით, განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგი ამოიწურა.

თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თ. მოძვრიშვილი

კომისიის წევრები: დ. ვალიშვილი

დ. პაპიაშვილი

გ. ლაბაური

თ. ლელუაშვილი

დ. ჯალაბაძე